1970 წლის 19 ივნისს წარმატებით დაამთავრა ფრენა კოსმოსურმა ხომალდმა „სოიუზ - 9“. ეკიპაჟმა, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ ა. გ. ნიკოლაევი და ვ. ი. სევასტიანოვი, მთლიანად შეასრულა დასახული პროგრამა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ ვინ ვინ ?!!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 119 (4113)

1970 წ. 20 ივნისი. შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

გოლები, გოლები, გოლები...

შემტევი ფეხბურთის ტრიუმფი

„თანამედროვე ფეხბურთს გვალვა ახრჩობს“, „უგოლო ფეხბურთი დაბლა მიექანება“, „ბეტონმა და ზებეტონმა ჩაალა ულამაზესი და უდიდესი სანახაობა“.

ასეთ და ამაზე უფრო მუქ ფერებში გამოხატავდნენ სულ ორიოდე წლის წინ თანამედროვე ფეხბურთის მდგომარეობას ჟურნალისტები, სპეციალისტები. წერდნენ იმაზე, რომ ბოლო წლების ფეხბურთმა დაკარგა თავისი ძირითადი იარაღი — შეტევა, დინამიკა, დაკარგა თავისი უმთავრესი ღირსება და სილამაზე — გოლები. გამარჯვებას ზეიმობდა თამაშის უტილიტარული, „კომერციული“ მხარე, რომელმაც ქულა გაცილებით უფრო მაღლა დააყენა, ვიდრე თავისივე „მშობელი“ — გოლი.

ამის სახიფათო სიმპტომები ჩანდა ჯერ კიდევ ჩილის მსოფლიო ჩემპიონატში 1962 წელს და შემდეგ — ინგლისში 1966 წელს. დაცვითმა ტენდენციებმა განსაკუთრებით იჩინა თავი ევროპულ შეჯიბრებებში, შემდეგ იგი მოედო ეროვნული მასშტაბის შეჯიბრებებს, ეპიდემიის სახით გავრცელდა უმრავლეს ქვეყანაში.

საქმე, მართლაც, ცუდად იყო. ფეხბურთი კარგავდა საყოველთაო სიმპათიას, ტრიბუნებს ხელიდან ეცლებოდა მაყურებელი, ბადეში მოფართხალე ბურთი ძილში ესიზმრებოდათ გულშემატკივრებს.

მაგრამ ფხიზელი ხმები, ოპტიმისტები, გამოჩენილი სპეციალისტები დაჯერებით ირწმუნებოდნენ, რომ ეს „შავი დღეები“ დროებითი მოვლენაა ფეხბურთში, რომ თამაში უნდა დაუბრუნდეს და დაუბრუნდება კიდეც თავის ამოსავალ წერტილს — შეტევას. გახსოვთ პელეს ცნობილი სიტყვები: „მე ომს ვუცხადებ „ბეტონს“!“.

საბედნიეროდ, ეს წინასწარმეტყველება ახდა! მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობამ, მექიკის სტადიონებზე ჩატარებულმა მატჩებმა ნათლად ცხადყო, რომ ფეხბურთს არა თუ არ დაუკარგავს სილამაზე და მიმზიდველობა, პირიქით, იგი უფრო დინამიური და შინაარსიანი გახდა, ცხადყო, რომ შეტევა ფეხბურთის დენთია.

ეს ახალი ტენდენციები ჩანდა ჯერ კიდევ საკვალიფიკაციო ტურნირებში, სადაც უნდა გამოვლენილიყვნენ ფინალის მონაწილენი. შემდეგ კი, უკვე მეხიკოს, პუებლას, ტოლუკას, გვადალახარას, ლეონის სტადიონებზე მაყურებელს მოსვენება არა ჰქონდა, ტრიბუნებზე არავინ ამთქნარებდა: შეტევა შეტევას მისდევდა, გოლი — გოლს. წასაგებად წინასწარ განწირული სუსტებიც კი არ „იქექებოდნენ“ დაცვაში, თამაშობდნენ, თამაშობდნენ, თამაშობდნენ...

გაიხსენეთ, თუნდაც, მატჩების შედეგები ჯგუფებში: ბელგია—სალვადორი 3:0, სსრ კავშირი—ბელგია 4:1, პერუ — ბულგარეთი 3:2, ბრაზილია — რუმინეთი 3:2, გფრ — ბულგარეთი 5:2, ბრაზილია — ჩეხოსლოვაკია 4:1.

შეიძლება, ვინმემ იფიქროს, რომ დიდი ანგარიშები ძლიერი და სუსტი მოწინააღმდეგეების ერთმანეთთან შეხვედრის შედეგია, მაგრამ გაიხსენეთ ტელეეკრანებზე ნანახი ბრძოლები. ადვილად დარწმუნდებით, რომ ეს ასე არაა და უხვგოლიანობა მხოლოდ აქტიური, ღია თამაშის შედეგია.

თუ, ვთქვათ, ჯგუფებში ფიქსირებული დიდი ანგარიშები ურწმუნოებმა შეიძლება მხარეთა განსხვავებულ ძალას მიაწერონ, რაღას იტყვიან მეოთხედფინალებზე? ბრაზილია — პერუ 4:2, იტალია — მექსიკა 4:1, გფრ — ინგლისი 3:2. ეს ხომ შესანიშნავი მატჩები იყო, სადაც შეტევა თავის გზაზე ამსხვრევდა და აცამტვერებდა დაცვით ბასტიონებს. რა შეედრება, თუნდაც, გფრ—ინგლისის მატჩს, რომელიც თავისი დინამიზმით და დაძაბულობით რომელიც გნებავთ ფინალურ მატჩს დაამშვენებდა!

ნახევარფინალში ხომ ძლიერები და სუსტები არ შეხვედრიან ერთმანეთს? აქ ღირსეულზე ღირსეული მეტოქეები იბრძოდნენ: ბრაზილია —ურუგვაი, იტალია—გფრ. ორივე ეს მატჩი, რომლებიც 17 ივნისს ჩატარდა, შესანიშნავი იყო. ამიტომ, თუნდაც სტატისტიკისთვის, გავიხსენოთ ისინი.

ბრაზილია — ურუგვაი

მატჩის წინ ურუგვაელებმა საყვედური გამოთქვეს იმის გამო, რომ ჩემპიონატის ორგანიზატორებმა დაკმაყოფილეს ბრაზილიელთა თხოვნა და საშუალება მისცეს მათ კიდევ ერთი, რიგით მეხუთე მატჩი ჩაეტარებინათ შეჩვეულ სტადიონზე გვადალახარაში. ეს პროტესტი არც იყო მოკლებული საფუძველს, ვინაიდან ურუგვაის ნაკრებს თამაშები მოუხდა ჯერ პუებლაში, შემდეგ მეხიკოში და ბოლოს — გვადალახარაში, მაშინ, როცა ბრაზილიელებს ფეხიც არ მოუცვლიათ გვადალახარადან და გარდა იმისა, რომ სრული აკლიმატიზაცია ჰქონდათ აქ გავლილი, მტკავლობით იცნობდნენ „ხალისკოს“ სტადიონის სათამაშო მინდორს. მაგრამ „პროტესტანტების“ ჩივილი ყურად არავინ იღო და მატჩი გვადალახარაში შედგა.

პროგნოზი ბრაზილიელთა გამარჯვებას წინასწარმეტყველებდა და, შეიძლება—საკმაოდ იოლსაც. ისინი, მართლაც, საუკეთესო ფორმაში არიან და დამჯერებლად, დარწმუნებით იბრძვიან ჟიულ რიმეს თასის საბოლოო მფლობელობაში მისაღებად. მაგრამ ურუგვაის ნაკრებმა ამ დღეს შესანიშნავად ითამაშა. მან საიმედო დაცვა დაუპირისპირა პელეს, ჟაირზინიოს, ტოსტაოს, როგორც ყოველთვის უშეცდომოდ დარაჯობდა კარს პირველხარისხოვანი მეკარე მაზურკევიჩი, ხოლო წინა ხაზზე შეუსვენებლივ მოქმედებდნენ მორალესი, კუბილა, კორტესი. თუმცა, ორივე მხარე ხშირად არღვევდა თამაშის წესებს, თამაშობდა ზედმეტი „სიმკაცრით“, მატჩი ძალზე საინტერესოდ, დაძაბულად მიმდინარეობდა.

პირველ წარმატებას ურუგვაელებმა მიაღწიეს. ბრაზილიელთა მეკარე ფელიქსმა ვერ გამოზომა ბურთის მიმართულება, უდროოდ დატოვა კარი და კუბილამ ზუსტად გამოიყენა მისი ეს შეცდომა—1:0.

(დასასრული მე-3 გვ.).

სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი

ოთხი მატჩი

17 და 18 ივნისს გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

სვერდლოვსკი. ადგილობრივმა „ურალმაშმა“ უმასპინძლა კიევის არმიელებს. მატჩის შედეგს იმდენი მნიშვნელობა არ ჰქონდა უკრაინელებისთვის, რამდენიც „ურალმაშისთვის“, რომელსაც აშკარად ემუქრება დაბალ ლიგაში გადასვლის საშიშროება. ალბათ ამიტომ იყო, რომ ურალელებმა თავიდანვე მძაფრი შეტევები წამოიწყეს და გამარჯვება ფაქტიურად პირველსავე ტაიმში გაინაღდეს — 42:30. მასპინძლებს ინიციატივა ხელიდან არ გაუშვიათ შესვენების შემდეგაც და მეტად საჭირო ქულა აიღეს — 73:62.

კაუნასი. კიევის „სტროიტელთან“ გამარჯვება „ჟალგირისის“ წინაშე ფართო პერსპექტივებს სახავდა. ბრძოლა უაღრესად მძაფრი და შეუპოვარი გამოდგა. პირველ ტაიმში ძალები ფაქტიურად თანაბარი იყო (30:28 „სტროიტელის“ სასარგებლოდ). მაგრამ შესვენების შემდეგ გამოისახა სტუმრების ერთგვარი უპირატესობა, რომელიც მატჩის მიწურულში გამარჯვებად იქცა — 62:53.

ლენინგრადი. „სპარტაკი“, როგორც ჩანს სერიოზულად აპირებს ვერცხლის მედლების მოგებას. ყოველ შემთხვევაში, მისი ბოლო ორი მატჩი საბაბს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ვიცე-ჩემპიონობის ყველაზე მეტი შანსი სწორედ ნევისპირელებს აქვთ. გუშინწინ „სპარტაკმა“ საკმაოდ იოლი გამარჯვება იზეიმა ტარტუს „კალევთან“ შეხვედრაში —74:53.

მოსკოვი. ადგილობრივმა „დინამომ“ მიიღო თბილისის „ბურევესტნიკი“. დაძაბული ბრძოლა მოიგეს მოსკოველებმა — 91:78 (48:37).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 ივნისისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	23	21	2	1971—1631	21
„სპარტაკი“ (ლენინგრადი)	24	18	6	1836—1622	18
„სტროიტელი“ (კიევი)	23	17	6	1821—1636	17
„ჟალგირისი“ (კაუნასი)	23	16	7	1806—1749	16
„კალევი“ (ტარტუ)	23	13	10	1875—1816	13
„დინამო“ (მოსკოვი)	23	13	10	1896—1843	13
„დინამო“ (თბილისი)	23	12	11	1833—1879	12
ასკ (კიევი)	24	8	16	1701—1761	8
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	24	7	17	1747—1951	7
ასკ (რიგა)	22	6	16	1606—1755	6
„ლოკომოტივი“ (ალმა-ათა)	23	4	19	1690—1901	4
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	23	4	19	1703—1941	4



ამბავი ჯეიბში ადგილიდან...

◆ ლონდონი, 19 ივნისი. „კუინს-კლაბის“ კორტებზე გრძელდება ჩოგბურთელთა საერთაშორისო შეჯიბრება. მეოთხედფინალში გასასვლელად თბილისელი ა. მეტრეველი შეხვდა მასპინძელს, ფ. მაკ-მილანს და დამარცხდა — 7:9, 4:6. აქ უკვე გამოქვეყნდა უიმბლდონის ტურნირის წილისყრის შედეგები. მეტრეველის პირველი მეტოქე იქნება ჩეხოსლოვაკიელი ი. კოდეში, მოსკოველ ა. ვოლკოვისა — რ. ემერსონი (ავსტრალია).

◆ მოსკოვი, 19 ივნისი. დედაქალაქის „ფილის“ სტადიონზე საზეიმოდ გაიხსნა საკავშირო ჩემპიონატი ბალახიან ჰოკეიში. მოსკოვს გარდა წინასწარი შეხვედრები გაიმართება სიზრანში, ერევანსა და პეტროზავოდსკში.

◆ მეხიკო, 19 ივნისი. ახლა მექსიკის დედაქალაქში ყველა კვირის მატჩების მოლოდინშია, მაგრამ ბევრი მაყურებელი ჰყავდა სამხრეთ ამერიკისა და ევროპის რეპორტიორთა ნაკრები გუნდების შეხვედრას, რომელიც სამხრეთამერიკელებმა მოიგეს — 2:1. მეორე მატჩი გაიმართება ამ დღეებში. ევროპელ ჟურნალისტთა კარს დაიცავს ა. ხომიჩი.



მწვრთნელები კმაყოფილი არიან

საქართველოს დოსაააფილებს წლეულს ძნელი გამოცდა აქვთ: სპორტის ტექნიკურ სახეობებში რესპუბლიკური სპარტაკიადის შემდეგ მათ სსრ კავშირის სპარტაკიადაში წარმატებისთვის უნდა იბრძოლონ. ამიტომ იყო, რომ ავტომობილისტებმა, მოტოციკლისტებმა, მოდელისტებმა მზადება დიდი ხანია დაიწყეს, ზოგ სახეობაში კი რესპუბლიკური ზონალური ტურნირებიც გამართეს.

ამას წინათ ავჭალის სასროლეთზე ტყვიის მსროლელები ცდიდნენ ძალას. ცეცხლის ხაზზე თბილისის, სოხუმის, ბათუმისა და ქუთაისის სპორტსმენები გავიდნენ. დოსაააფილთა ტურნირს ინტერესი შემატა იმ ამბავმა, რომ ასპარეზობაში უკონკურსოდ მონაწილეობდა საქართველოს რამდენიმე უძლიერესი სპორტსმენიც.

შედეგებიც დამაკმაყოფილებელი იყო. სპორტსმენებმა 40 პირველი თანრიგის ნორმატივის შესაბამისი და უფრო მაღალი შედეგი აჩვენეს. ამასთან, მათგან რამდენიმე სულ ოდნავ ჩამორჩა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივს.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებზე სროლაში თბილისის არმიის სპორტკლუბის წევრმა, სპორტის ოსტატმა კ. ფოტიევმა 565 ქულა მოაგროვა და მხოლოდ ერთი ქულა არ ეყო, რომ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გამხდარიყო. ამავე იარაღით 5 სილუეტზე სროლაში ფოტიევის თანაგუნდელმა ე. კარტაშინმა 600-დან მხოლოდ 7 ქულა დაკარგა. ეს შედეგი 2 ქულით ჩამორჩება საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივს და საქართველოს ახალი რეკორდია. მცირეკალიბრიანი შაშხანით „გაქცეულ ტახზე" (20+20) სროლაში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა გ. თავდიდიშვილმა („დინამო") 171 ქულა მოაგროვა, რაც ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია წლეულს სსრ კავშირში.

ვალში არც შეჯიბრების მასპინძლები — დოსაააფილები დარჩენილან. მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლილა 60 გასროლაში შეჯიბრება კარგად დაიწყო სსრ კავშირის ნაკრების წევრმა ვ. აბაჯიანმა (თბილისი), რომელმაც 100 შესაძლებლიდან 99 ქულა მოაგროვა, მაგრამ მეორე და მესამე სერიებში 3-3 ქულა დაკარგა — 300-დან 293 ქულა. სამაგიეროდ, ვარჯიშის მეორე ნახევარი აბაჯიანმა უნაკლოდ გავლო — 300 შესაძლებლიდან არც ერთი ქულა არ დაუკარგავს და საბოლოოდ 593 ქულა მიიღო.

კარგად გამოვიდნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტის მეხუთეკურსელი ბ. ნაცვლიშვილი, ამავე ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი მევლუდ ქამურაშვილი, თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მესამეკურსელი მანანა ღვინერია და თბილისის სამხატვრო-საწარმოო კომბინატის თანამშრომელი თ. ლეკიშვილი. ეს სპორტსმენები თითო ვარჯიშში გამარჯვებას არ დასჯერდნენ: ღვინერიამ და ქამურაშვილმა სამ-სამი, ნაცვლიშვილმა და ლეკიშვილმა ორ-ორი ვარჯიში მოიგეს, ამასთან, პირველი თანრიგის ნორმატივზე უარესი შედეგი არც ერთხელ არ უჩვენებიათ.

საიმედო მსროლელები არიან თბილისელი ლიანა ცქიტიშვილი, ქუთაისის პედინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის მეხუთეკურსელი ლ. შარაშენიძე და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალის მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტის მეორეკურსელი თ. სვანიძე. შარაშენიძეს და სვანიძეს ამ სახეობაში უფრო მეტი გამოცდილება აქვთ, ცქიტიშვილი კი სულ ორი წელია სპორტის ოსტატ გ. ბოსტოღანაშვილთან ვარჯიშობს და უკვე სპორტის ოსტატობის კანდიდატია. მან ამ შეჯიბრებაშიც ორ ვარჯიშში იზეიმა გამარჯვება.

ასპარეზობის დამთავრების შემდეგ პისტოლეტით მსროლელთა მწვრთნელს მისვლია ქამურაშვილს და დოსაააფის ნაკრების უფროს მწვრთნელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს პ. ლეკიშვილს ვთხოვეთ გამოეთქვათ აზრი ჩვენი გუნდის შანსზე საკავშირო ტურნირში, რომელიც ივლისში გაიმართება.

— პისტოლეტით სროლელებს ვერ დავემდურებით. როგორც ვაკვირდებით, ისე ქალები შეჯიბრებამდე დარჩენილ პერიოდში რესპუბლიკურ ტურნირში შენიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისთვის იბრძოლებენ და ვიმედოვნებთ, რომ საკავშირო შეჯიბრებაში გუნდს სათანადო ჩათვლას მისცემენ. — თქვა ქამურაშვილმა.

— საქართველოს დოსაააფილებს საკავშირო სარბიელზე ცუდი სასელო როდი აქვთ. ამიტომაა, რომ მათ უძლიერესები მუდამ ანგარიშს უწევენ. თავს არც წლეულს შევირცხვენთ. თუ ამ შეჯიბრების შედეგებით ვიმსჯელებთ, ზოგიერთი ნაკლი ჯერ კიდევ გვაქვს. ეს განსაკუთრებით მეორე და მესამე ნომერ ქალებს ეხებათ. ამ ხარვეზების გამოსწორება ძნელი არ არის, ეს სპორტსმენები საკმაოდ ძლიერი მსროლელები არიან, მაგრამ რესპუბლიკურ ტურნირში რატომღაც თავიანთ შესაძლებლობაზე სუსტად გამოვიდნენ.

ო. ივლოფვილი.

* * *

გამარჯვებულთა ტექნიკური შედეგები. **ქალები.** მცირეკალიბრიანი შაშხანა. წოლილა 60 გასროლა. ცქიტიშვილი — 573; **სტანდარტი (3×20).** ცქიტიშვილი—534; **მცირეკალიბრიანი პისტოლეტი.** მრგვალ სამიზნეებზე 30 გასროლა. ღვინერია — 256; **შავ სამიზნეებსა და სილუეტებზე (30+30) სროლა.** ღვინერია — 569; **სილუეტებზე 60 გასროლა.** ღვინერია—555; **მრგვალ სამიზნეებზე 60 გასროლა.** შარაშენიძე — 516.

ვაჟები. **მცირეკალიბრიანი შაშხანა.** **წოლილა 60 გასროლა.** აბაჯიანი—593; **სტანდარტი (3×20).** აბაჯიანი — 561; **„გაქცეულ ტახზე" 40 გასროლა.** ლეკიშვილი—145; **არმიული შაშხანა. სტანდარტი (3×20).** მ. მიქაშავილი (თბილისი)—537; **„გაქცეული ირემი". 50 ერთმაგი გასროლა.** ნაცვლიშვილი — 225; **25 ორმაგი გასროლა.** ლეკიშვილი—214; **25 ორმაგი და 50 ერთმაგი გასროლა.** ნაცვლიშვილი — 435; **მცირეკალიბრიანი პისტოლეტი. მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე სროლა (30+30).** ა. დიმელაშვილი (თბილისი) — 534; **სილუეტებზე 60 გასროლა.** ქამურაშვილი — 580; **მრგვალ სამიზნეებზე 60 გასროლა.** ქამურაშვილი — 558; **რევოლვერ-პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებზე და სილუეტებზე (30+30) სროლა.** ქამურაშვილი — 577.

* * *

სურათზე: მწვრთნელი მ. ქამურაშვილი ასპარეზობის შემდეგ ესაუბრება ღვინერიას (მარცხნივ) და შარაშენიძეს.

ავტორის ფოტო.

სსრ კავშირი

1970 ფეხბურთი

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

სსრ კავშირის ჩემპიონატის მატჩში ორჯონიკიძის „სპარტაკსა" და თბილისის „დინამოს" შორის ორჯონიკიძელთა კარში ბურთი გაიტანა გავაშელმა.

ქუთაისისა და მოსკოვის ტორპედოელთა მატჩში მინდვრიდან იქნენ გაძევებული ქუთაისელი ოქროპირაშვილი და მოსკოველი იურინი.

უმაღლესი ჯგუფი — „ა" კლასი

„ლოკომოტივმა" გაიმარჯვა

17 ივნისს შედგა მორიგი ტურის მატჩები „ა" კლასის I ჯგუფში.

თბილისის „ლოკომოტივ" აშხაბადში შეხვდა ადგილობრივ „სტროიტელს". თბილისელებმა დაძაბულ ბრძოლაში შეძლეს გამარჯვების მოპოვება — 2:1.

მოგვყავს სხვა შეხვედრათა შედეგები: „ბამირი" (დუშანბე) — „მეტალისტი" (ხარკოვი) 1:1, „ლოგა" (ფრუნზე) — „ყუბანი" (კრასნოდარი) 2:0, „მოლდოვა" (კიშინიოვი) — „კარპატი" (ლვოვი) 1:1, „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „ასკ" (კიევი) 0:1, „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) — „დაუგავა" (რიგა) 1:0, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „ქალგორისი" (ვილნიუსი) 1:0, „ასკ (ხაბაროვსკი) — „დინამო" (ლენინგრადი) 1:1, „ყაირათი" (ალმა-ათა) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 6:1, „შახტიორი" (ყარაგანდა) — „რუბინი" (ყაზანი) 3:0, „ვოლგარი" (ასტრახანი) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) 1:1.

I ჯგუფი — „ა" კლასი

„ა" კლასის II ჯგუფის II ზონაში 17 ივნისს შემდგარი სხვა მატჩების შედეგები ასეთია: „ვოლგა" (კალინინი) — „ლოკომოტივი" (კალუგა) 4:1, „შინიკი" (იაროსლავლი) — „მეტალურგი" (ტულა) 2:1, „სატურნი" (რიბინსკი) — „დინამო" (ბრიანსკი) 0:0, „ტრუდი" (ვორონეჟი) — „სტალი" (ვოლგოგრადი) 2:0, „მეტალურგი" (ლიპეცკი) — „ტორპედო" (ტაგანროგი) 1:1, „სალუტი" (ბელგოროდი) — „დინამო" (სტავროპოლი) 1:1, „შირაკი" (ლენინაკანი) — „ფოლადი" (სუმგაითი) 1:0, „დრუჟბა" (მაიკოპი) — „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) 1:2, „ვოლგა" (გორკი) — „მაშუკი" (პიატიგორსკი) 0:0.

II ჯგუფი

წარმატება ბათუმში

ბათუმი. „დინამოს" სტადიონი. 17 ივნისი.

„დინამო" (ბათუმი) — „დინამო" (მახჩყალა) 1:0 (1:0).

ბათუმი: ბავლოვი, ჩხაიძე, დიმანოვი, სირბილაძე, გაგუა, ილურიძე, მაჩხელიანი, ვაჟა კვიტაიშვილი, ვახტანგ კვიტაიშვილი, გიორგიადი, რამიშვილი.

მახჩყალა: ბალაშოვი, ყონოვალოვი, პოდკოლოდნევი, გერასიმენკო, ვაშენკოვი, იბრაჰიმოვი, გალკინი, ბენტასოვი, შაულოვი (მანტაევი), აჩკურინი (ალეოშინი), ეფრემოვი.

მსაჯი ს. ბელიაევი (მოსკოვი).

ბათუმელმა ფეხბურთელებმა საკუთარ მინდორზე მხოლოდ მინიმალურ გამარჯვებას მიაღწიეს აუტსაიდერთან — მახჩყალის თანაკლუბელებთან, მაგრამ ეს 2 ქულა გუნდს ძალიან სჭირდებოდა და მისი მეშვეობით სატურნირო მდგომარეობაც შესამჩნევად გაუმჯობესდა.

მასპინძლებმა სწრაფი იერიშებით დაიწყეს თამაში და უკვე მე-7 წუთზე შეიქმნა ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა: ძმები კვიტაიშვილების მიერ გათამაშებული კომბინაცია არაზუსტად დაამთავრა რამიშვილმა.

27-ე წუთზე მახჩყალელთა საჯარიმო მოედანზე გაჭრილი მაჩხელიანი მცველებმა უხეშად წაკეტეს, რის გამოც მსაჯმა უყოყმანოდ დანიშნა 11-მეტრიანი. სტუმრებმა აქ დიდი უტაქტობა გამოიჩინეს და მსაჯი იძულებული იყო მინდვრიდან გაეძევებინა გუნდის კაპიტანი პოდკოლოდნევი. თამაშში განახლდა და სირბილაძემ ზუსტად გამოიყენა პენალტი — 1:0.

ბათუმელებს უპირატესობა არც შესვენების შემდეგ დაუთმიათ, მაგრამ მათი მისამართით უნდა ითქვას, რომ გადამწყვეტ მომენტებში საჭიროა მეტი შეუპოვრობა, სწრაფვა გამარჯვებისაკენ და ზუსტი დარტყმები კარში. იყო მომენტი, როცა რამიშვილმა ცარიელი კარის წინ გაიყვანა სირბილაძე, მაგრამ ამ უკანასკნელმა ვერ შეძლო მდგომარეობის გამოყენება.

ო. შუბანიძე.
(ტელეფონით).

0:0

გორი. ქალაქის სტადიონი. 17 ივნისი.

„დილა" (გორი) — „დინამო" (კიროვაბადი) 0:0.

„დილა": ჩლაიძე, კოზინი, კობაიშვილი, გლოვაცკი, ნასარიძე, მარღიშვილი (მაღრაძე), ჩიტაური, ჭეიშვილი (კონიაშვილი), კაპანაძე, ბაბიაშვილი, ეზუბაია.

„დინამო": ჰუსეინოვი, ბორეჩევი, სულთანოვი, ბაგერამოვი, ბაგიროვი, დემჩენკო, კასუმოვი, ფატი-ზადე (მოსულ-ზადე), სალახოვი, დანელიანი, სტეკოლნიკოვი (ფილიპოვი).

მსაჯი ა. კონოვალოვი (ლენინგრადი).

კიროვაბადის „დინამო" ძლიერ მოწინააღმდეგეს წარმოადგენდა გორელთათვის, ვინაიდან ეს გუნდი ოდესღაც უმაღლეს ლიგაშიც გამოდიოდა, მაგრამ „დილამ" მას პირველივე წუთებიდან სწრაფი ტემპი შესთავაზა და დაეუფლა საერთო ინიციატივას. ჯერ მხოლოდ მატჩის დასაწყისი იყო, როცა ჰუსეინოვს აკრობატულ ნახტომში მოუხდა ნასარიძის მიერ შორიდან დარტყმული ბურთის კუთხურზე მოგერიება.

შემდგომში დინამოელთა მეკარემ კიდევ ერთხელ იხსნა კარი კობაიშვილის მიერ ძლიერად შესრულებული საჯარიმო დარტყმისგან. რამდენიმე მწვავე სახიფათო სამასუხო შეტევა ჰქონდათ სტუმრებსაც.

კიდევ უფრო ნათელი იყო გორელთა უპირატესობა შესვენების შემდეგ, თუმცა თავდამსხმელთა მოქმედებაში იგრძნობოდა სტაქიურობა, ნაჩქარობა, რაც კიროვაბადელთა დაცვას უადვილებდა ხიფათის მოგერიებას. საბოლოოდ ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო წარმატების მოპოვება — 0:0.

ბ. გოზალიშვილი.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

ორი ცდა — ორი რეკორდი

ბერლინში, ტარტანის ბილიკებიან სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც 16 ქვეყნის მძლეოსნები მონაწილეობდნენ. სპორტსმენებმა შესანიშნავი შედეგები აჩვენეს, თავი განსაკუთრებით მასპინძლებმა გამოიჩინეს. ჰოკით ხტომაში მეხიკოს ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა ვ. ნორდვიგმა თავდაპირველად იერიში მიიტანა ევროპის რეკორდზე (540 სმ), რომელიც მას და კ. შიპროვაკის (ჩეხ) ეკუთვნით. ნორდვიგმა 541 სმ სიმაღლეზე გადებული თამასა პირველივე ცდით დაძლია. შემდეგ მან ჯ. პენელის (აშშ) მსოფლიო რეკორდის (544 სმ) გაუმჯობესება განიზრახა. თამასა 545 სანტიმეტრზე გადეს. ნორდვიგის პირველი ცდა მარცხით დამთავრდა. ევროპის რეკორდსმენმა მეორე ცდა უფრო სრულყოფილად შეასრულა და მსოფლიო რეკორდსმენი გახდა.

სამხტომში გაიმარჯვა ი. დრემელმა (გდრ) — 16,80 მ. ეს წლეულს მსოფლიოში საუკეთესო შედეგია. მასპინძლები უძლიერესნი იყვნენ, აგრეთვე, 800 მ (უ. შმიდტი — 1.48,3) და 5000 მეტრზე რბენაში (ი. ჰაზე — 13.43,2), 110 მეტრზე თარჯრბენში (ფ. ხიბეკი — 13,7), ბირთვის კვრაში (ჰ. ბრეზენიკი — 20,01). ბადრის ტყორცნა მოიგო რ. ბრუეხმ (შვეიცარია)—63,48.

მეტად დაძაბული იყო 100 მეტრზე თარჯრბენი. ტ. ნოვაკმა (ჩოლონეთი), ა. იანსმა და ვ. ბალცერმა (ორივე — გდრ) ერთნაირი შედეგი — 13,3 წამი აჩვენეს და ხაპრიზო ადგილები ფოტოფინიშმა ამ თანმიმდევრობით გაანაწილა. 100 მეტრზე მორბენალ ქალთა შეჯიბრებაში რ. მეისნერს (გდრ) ხელს უშლიდა წამში 3 მეტრის სიჩქარეით მკრული პირჭარი. ამის მიუხედავად მან შესანიშნავი შედეგი (11,2) მოიპოვა. ალმაათელი ლ. გოლომოზოვა ფინიშთან მხოლოდ მეხუთე იყო — 11,8.

მასპინძლების ქალთა კვარტეტმა მოიგო 4×100 მეტრზე ესტაფეტა — 45,3, საბჭოთა კავშირის გუნდის შედეგია 45,7 წამი.

საქართველოს ჩემპიონატი

I ჯგუფი

მდგომარეობა 20 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ლოკომოტივი" (სამტრედია)	21	11	7	3	47—17	29
„მეტალურგი" (ზესტაფონი)	20	12	5	3	39—23	29
ფიზკ. ინსტიტუტი (თბილისი)	21	9	9	3	33—19	27
„სკური" (წალენჯიხა)	20	9	8	3	28—14	26
„ეგრისი" (ცხაკაია)	21	10	6	5	30—21	26
„ისანი" (თბილისი)	21	7	12	2	21—15	26
„ფეიქარი" (ნუნუკიძე)	21	10	6	5	29—30	26
„სინათლე" (თბილისი)	21	9	7	5	32—21	25
„სამცხე" (აწყური)	21	7	11	3	20—18	25
„სალხინო" (გეგეჭკორი)	21	8	8	5	27—19	24
„მზიური" (გალი)	21	6	11	4	21—19	23
„ქართლი" (გორის რაიონი)	21	5	10	6	22—24	20
„ვარკეთილი" (გარდაბანი)	20	4	10	6	20—21	18
ასკ (თბილისი)	21	6	5	10	20—28	17
„ბაბმარო" (ჩოხატაური)	21	3	11	7	18—33	17
„იმერეთი" (თერჯოლა)	20	4	8	8	23—25	16
„ენგური" (ზუგდიდი)	21	5	6	10	17—28	16
„მაღაროელი" (ჭიათურა)	21	4	7	10	28—36	15
„ციხარი" (სიღნაღი)	21	3	9	9	13—22	15
„გიგანტი" (ლაითური)	21	3	9	9	17—34	15
„მშენებელი" (ბორჯომი)	21	3	6	12	18—32	12
„მესხეთი" (ახალციხე)	21	3	5	13	20—44	11

გოლები, გოლები, გოლები...

1/2 ფინალები

დასასრული

ბრაზილიელები, ეტყობა, შეჩვეული არიან თავიანთი მეკარის შეცდომებს და მისგან გამომდინარე შედეგებს. ისინი განაგრძობდნენ იერიშებს ყოველგვარი პანიკისა და არეულობის გარეშე — გეგმაზომიერად, მოფიქრებულად. ტაიმის ბოლო წუთზე კლოდოალდომ გაქვითა გოლი — 1:1.

შესვენების შემდეგ ბრაზილიელებმა კიდევ უფრო მოუმატეს ტემპს და იერიშებს, მაგრამ „უოველ ნაბიჯზე" იგრძნობოდა, რომ ამ დღეს აშკარად არ გამოუდიოდა თამაში მათს მთავარ მამოძრავებელ ძალას პელეს. მან რამდენიმეჯერ არაზუსტად ითამაშა გადამწყვეტ მომენტებში, ვერ შეასრულა საბოლოო დარტყმები. მაშინ თამაშის სადავეები აიღეს გერსონმა, ტოსტაომ, ჟაირზინიომ. განსაკუთრებით ამ უკანასკნელმა.

მეორე ტაიმი განუწყვეტლივ ორმხრივ იერიშებში მიმდინარეობდა. თითქმის ყოველ წუთს სრულდებოდა გარლვევა, თავდამსხმელები გამუდმებით ემუქრებოდნენ მეტოქეს კარის აღებით. ამ ორმხრივ ბრძოლაში ბრაზილიელთა უპირატესობა უფრო ხელსახები იყო. 75-ე წუთზე ჟაირზინიომ ტოსტაოს გადაცემით გაიტანა გოლი, რომელიც ასე სპირდებოდათ ბრაზილიელებს და ამ წარმატებით აღფრთოვანებული გოლის ავტორი პირჯვრის წერით ჩაიქეცა აქვე, სათამაშო მინდორზე. 89-ე წუთზე ბრაზილიის ნაკრების გამარჯვების საქმე მოთავა რიველინომ — 3:1.

გუნდები ასეთი შემადგენლობებით თამაშობდნენ: **ბრაზილია** — ფელიქსი, ალბერტო, ბრიტო, პიაცა, ევერალდო, კლოდოალდო, გერსონი, რიველინო, ჟაირზინიო, ტოსტაო, პელე; **შრუგვაი** — მაზურკევიჩი, უბინასი, ანჩეტა, მატოსასი, მუიკა, კასტილო, მანეიერო (ესპარაგო), კორტესი, კუბილა, ფონტესი, მორალესი. მატჩს სჯიდა დე ბენდიქტილი (ესპანეთი).

იტალია—გფრ

გფრ-ის ფეხბურთელებმა IX მსოფლიო ჩემპიონატს აჩუქეს ისეთი ბრწყინვალე ფეხბურთი, რომელიც იყო მათი შეხვედრა ინგლისელებთან.

ახლა გერმანელებმა კიდევ ერთი ძვირფასი საჩუქარი გააკეთეს თავიანთი მატჩით იტალიის ნაკრებთან, თუმცა ეს საჩუქარი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონს დამარცხებად დაუჯდა. ამბობენ, გამარჯვებულებს არ ასამართლებენო. ამ შემთხვევაში ჩვენ გვინდა დავუმატოთ ისიც, რომ არც ისეთი დამარცხებულის გასამართლება შეიძლება, როგორიც გფრ-ის ნაკრები. ეს იყო მომდინარე ჩემპიონატის ბრწყინვალე ფურცელი.

ძნელია დეტალურად აღწერო ყველა ის მომენტი, ყველა ის საფიფათო სიტუაცია, რომლებიც ამ მატჩში იყო. დიდი ბრძოლა დაიწყო უკვე მაშინ, როცა იტალიელთა მცველი ბონისენია მე-7 წუთზე შეიჭრა გერმანელთა საჯარიმო მინდორზე და ძლიერად დაარტყა კარში—1:0. ამის შემდეგ, 83 წუთის განმავლობაში ორივე გუნდი თავდაუზოგავად იბრძოდა, რათა შეეტანა ცვლილება ანგარიშში და უკვე მაშინ, როცა მატჩის ბედიც თითქოს გადაწყვეტილი იყო, გერმანელებმა გვერდითი ხაზიდან შეიყვანეს ბურთი თამაშში. საბოლოო კომბინაცია განხორციელდა თვალის დახამხამებაში, გფრ-ის მცველი შნელინგერი ღია პოზიციაში აღმოჩნდა და საპასუხო გოლიც გაიტანა — 1:1. პერუელმა მსაჯმა იამასაკიმ დამატებითი 30 წუთი დანიშნა.

ეს 30 წუთი შეუდარებელი იყო. ბურთი თითქმის არც დაუოვნებულა შუა მინდორზე. იგი განუწყვეტლივ კარიდან კარისკენ მოძრაობდა და მოსვენებას არ აძლევდა მეკარეებს. ტრიბუნებზე მჯდომს ვერ ნახავდით — ყველა ფეხზე იდგა.

გოლები კალეიდოსკოპური სიხშირეით გადიოდა. ჯერ, 95-ე წუთზე ჩემპიონატის მთავარმა ბომბარდირმა მიულერმა დაუეოვნებლივ გამოიყენა მოწინააღმდეგე დაცვაში დაშვებული შეცდომა და 4 წუთის შემდეგ ასეთივე ამბის შემდეგ ანგარიში ისევ გაათანაბრა ბურგნიჩმა — 2:2. 104-ე წუთზე რივამ კიდევ ერთხელ დააწინაურა იტალიელები და 111-ე წუთზე მიულერმა ისევ აღადგინა თანაფარდობა — 3:3.

გერმანელებს კარგა ხნის მანძილზე აბსოლუტური უპირატესობა ჰქონდათ და, მაინც, იტალიელებმა შეძლეს გამარჯვების მოპოვება. მარცხნიდან ბონისენიასგან მიღებული ბურთი რივერამ კარისკენ გაგზავნა და მაიერის შეცდომა გერმანელებს დამარცხებად დაუჯდათ. 4:3.

მოწინააღმდეგეები ასეთი შემადგენლობებით თამაშობდნენ: **იტალია** — ალბერტოზი, ბურგნიჩი, ფაკეტი, როსატო (პოლეტი), სერა, ბერტინი, მაცოლა (რივერა), დომენგინი, დე სისტი, ბონისენია, რივა; **გფრ** — მაიერი, ფოგტსი, შნელინგერი, შულეი, პატეკე (ბელდი), ზეელერი, ბეკენბაუერი, ოვერატი, გრაბოვსკი, მიულერი, ლერი (ლიბუდა). მსაჯი — იამასაკი (პერუ).

* * *

ამრიგად, მსოფლიოს IX ჩემპიონატის ფინალში გავიდნენ ბრაზილია და იტალია. მათ მატჩში, რომელიც 21 ივნისს შედგება, ერთი რამ უკვე გადაწყვეტილია: ფიფა-ს ყოფილი პრეზიდენტის ჟიულ რიმეს მიერ დაწესებული გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს ოქროს თასი სამუდამო მფლობელობაში გადაეცემა ერთ-ერთ მათგანს, ვინაიდან ბრაზილია და იტალია 2-2-ჯერ იყვნენ მსოფლიო ჩემპიონები. დღემდე ჩატარებულ 8 ჩემპიონატში ევროპა და სამხრეთ ამერიკა 4-4-ჯერ ფლობდნენ ჭილდოს და ახლა ერთ-ერთი მათგანი უნდა დაწინაურდეს.

დღეს, 20 ივნისს, გაიმართება მატჩი III ადგილისთვის გფრ-სა და ურუგვაის გუნდებს შორის.

მიულერი არ ხუმრობს

როგორც ჩანს, გფრ-ს ნაკრების თავდამსხმელი მიულერი მსოფლიოს IX ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდება და მიიღებს სპეციალურ პრიზსა და ფულად პრემიას. მიულერს ხუთ მატჩში გატანილი აქვს 10 ბურთი, რაც საშუალოდ ყოველ შეხვედრაში 2 გოლს ნიშნავს (საინტერესოა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების ანგარიშზე სულ 16 ბურთი მოდის).

გთავაზობთ ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირთა სიას:

1. **მიულერი** (გფრ) — 10.
2. **ჟაირზინიო** (ბრაზილია) — 6.
3. **კუბილასი** (პერუ) — 5.
4. **ბიუოვეცი** (სსრ კავშირი)—4.
5. **ზეელერი** (გფრ) — 3.
6. **რიველინო** (ბრაზილია) — 3.
7. **პელე** (ბრაზილია) — 3.
8. **რივა** (ბრაზილია) — 3.

ზემოჩამოთვლილ ფეხბურთელთა გარდა 9-ს გატანილი აქვს 2-2 ბურთი და 34-ს — თითო.

ვინ შეცვლის ნიკეს?

„დაბრუნდი სორენტოში"

გ. იაშვილის ნახატი.

ნიკე — ოქროსფრთებიანი ქალღმერთი—ბრაზილიელთა ან იტალიელთა სამუდამო მფლობელობაში გადადის. ნიკეს ორიგინალური ქანდაკება სულ ცოტა ხანში თავს ამოყოფს ბრაზილიის ან იტალიის ერთ-ერთ რომელიმე ბანკის სეიფში და იქნება იქ სამუდამოდ, როგორც ფასდაუდებელი განძი.

რამ უნდა შეცვალოს იგი? რა ახალ ჯილდოს სთავაზობს ფიფა ფეხბურთის სამყაროს? საერთაშორისო ფედერაცია ყველაზე პასუხსაგები პრობლემის წინაშე სწორედ ახლა დგას, ვინაიდან ჯილდოს დაწესებისას არ უნდა იქნას დაშვებული უმნიშვნელოო შეცდომაც. წინააღმდეგ შემთხვევაში ახალ პრიზს არ ექნება ისეთი სახელი და ავტორიტეტი, როგორც მის წინამორბედს.

ალბათ გახსოვთ, რომ 4 წლის წინ ინგლისელებმა წინადადებით მიმართეს ფიფა-ს ჩერჩილის სახელობის თასის დაწესებაზე. ფედერაციამ ეს წინადადება უარყო. შემდეგ კი, როგორც გამოირკვა, ახალი პრიზის დაწესება არ გახდა საჭირო.

მეხიკოში, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას ოფიციალური წინადადებით მიმართეს ბრაზილიელებმა და ჩემპიონატის მასპინძლებმა. ბრაზილიელებმა მხოლოდ სურვილი გამოთქვეს, მექსიკელებმა კი პირობა დაადეს: ოქროსა და ვერცხლისგან ჩამოასხამენ ახალ პრიზს, თუ მას დაერქმევა „მექსიკა".

ფიფა-ს ჯერ არც ერთი წინადადებისთვის არ გაუცია პასუხი. ფიქრობენ, რომ ეს საკითხიც ფედერაციის კონგრესზე გადაწყდება.

მსოფლიო ჩემპიონატი

ᲛᲔᲥᲘᲙᲝ 1970 ᲩᲔᲮᲝᲕᲐᲚᲘ IX MEXICO

ᲥᲮᲐᲠᲚᲘ ᲥᲐᲯᲔᲯᲘ

● **ლენინგრადი**, 18 ივნისი. სსრ კავშირში სტუმრად მყოფმა ბელგრადის წყალბურთელთა ნაკრებმა აქ ტურნეს ბოლო მატჩი ითამაშა ადგილობრივ წყალბურთელებთან. შეხვედრის შედეგია ფრე — 3:3.

● **პარიზი**, 18 ივნისი. ცხკა-ს ფრენბურთელ ვაჟთა გუნდმა ამხანაგური მატჩი მოუგო საფრანგეთის არმიელ სპორტსმენთა ნაკრებ გუნდს 3:0 (15:12, 15:6, 15.5).

● **სოფია**, 18 ივნისი. გდრ-ის ფრენბურთელ ვაჟთა გუნდის გამარჯვებით დამთავრდა აქ გამართული საერთაშორისო ტურნირი. მომდევნო ადგილები დაიკავეს ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, უკრაინის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთისა და პოლონეთის (მეორე გუნდი) სპორტსმენებმა.

● **პოტსდამი**, 17 ივნისი. ადგილობრივ სტადიონზე გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო ასპარეზობაში 20 კმ-ზე სპორტულ სიარულში საუკეთესო შედეგი აჩვენა 30 წლის პ. ფრენკელმა — 1:27.22,6.

● **გენტი**, 17 ივნისი. ხუთჭიდელი ქალებიდან ჯერჯერობით მხოლოდ ხუთმა შეძლო 5000-ქულიანი ზღვარის გადალახვა. აქ გამართულ შეჯიბრებაში ინგლისელი პედაგოგი მ. პიტერსი მჭიდროდ მიუახლოვდა ამ შედეგს—4.992. ჰოლანდიის ახალი რეკორდი დაამყარა მ. სტერკმა — 4.952.

● **მონტე-კარლო**, 18 ივნისი. მოშაშეთა საერთაშორისო ტურნირში 15 ტურის შემდეგ დაწინაურდა საბჭოთა დიდოსტატი ი. კუპერმანი — 10,5 ქულა. ტ. სეინბრანდსს (ჰოლანდია) 10 ქულა აქვს, ა. განტვარგს—9.

● **ბანსკა-ბისტრიცა** (ჩეხოსლოვაკია), 18 ივნისი. პრაღელმა ი. ჰალვამ შუბის ტყორცნაში ჭეკნის რეკორდი ერთბაშად 5 მეტრით გააუმჯობესა. მისი შედეგია 80,06 მ. ვ. ფიშერმა სამხტომში 16,47 მ აჩვენა.

● **შვეტცინგენი** (გფრ), 18 ივნისი. ხუთჭიდში მსოფლიოს ექს-რეკორდსმენმა ჰ. როზენდალმა აქ 5123 ქულა მოაგროვა. თ. იორდანმა 400 მეტრზე რბენაში 45,5 წამი აჩვენა. ეს წლეულს საუკეთესო შედეგია ევროპაში.

● **ბელგრადი**, 18 ივნისი. ტყვიის მსროლელთა აქ გამართულ შეჯიბრებაში შესანიშნავად იასპარეზა დ. პეროვიჩმა. ამ ქალიშვილმა მცირე სტანდარტზე (3×20) მცირეკალიბრიანი შაშხანით ასპარეზობაში 580 ქულა მოაგროვა, რაც ოფიციალურ მსოფლიო რეკორდზე 2 ქულით უკეთესია.

თბილისის სპორტულ ბუნებაზე

მძლეოსნობა. „ლოკომოტივის" სტადიონი. სსრ კავშირის თასი — „იზვესტიას" პრიზის გათამაშების წინასწარი ტურნირი. მონაწილეობენ: თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმისა და კრასნოდარის ქალთა და ვაჟთა გუნდები. დასაწყისი. **დღეს:** 9 და 17 ს. **ხვალ:** 17 ს.

კალათბურთი. სპორტის სასახლე. სსრ კავშირის ჩემპიონატი. „ა" კლასი. III წრე. 22 ივნისი. „დინამო" (თბილისი) — — „ულგორისი" (კაუნასი). დასაწყისი 20 ს.

დაუმარცხებელი „თბილისი“



სარატოვის „სალუტის“ სპიდვეისტთა გუნდი თბილისს ასეთი ბალანსით ეწვია: 5 შეხვედრა, 10 ქულა. ეს ადასტურებს, რომ სტუმრების კოლექტივი საკმაოდ ძლიერი გუნდია. სპეციალისტების ვარაუდით, მას უმაღლეს ლიგაში გადასვლის დიდი შანსი აქვს. მაგრამ სარატოველებს არც მასპინძლები ჩამორჩებოდნენ: „თბილისს“ არც ერთი მატჩი არ წაუგია. ამიტომ გამოიწვია მაყურებელთა დიდი ინტერესი წიდოვან ბილიკზე საკლუბო გუნდების საკავშირო პირველობის ლიდერთა გუშინწინდელმა შეხვედრამ.

სტუმრებს სპორტის ოსტატი ვ. ჩიორნი აკლდათ, მაგრამ სრული შემადგენლობით არც მასპინძლები ჩაბმულან ბრძოლაში. ასე რომ, ძალები სტარტამდე თითქმის გათანაბრდა.

შეჯიბრების დაწყებამდე ფარეხში, სადაც სპორტსმენები მანქანებს ბრძოლისთვის ამზადებდნენ, თბილისელებს ვ. კლიმენტიევსა და ვ. გორდეევს შევსვდით, მსოფლიო ჩემპიონატის ბიდგოშჩისა (პოლონეთი) და პარდუბიცეს (ჩეხოსლოვაკია) მეოთხედფინალებში წარმატება მივულოცეთ და ვთხოვეთ სამერმისო გვგმებზე ორიოდე სიტყვა ეთქვათ.

— ძნელი ამოცანები გვაქვს გადასაწყვეტი: თვის დამლევს ბაბელსბერგში (გფრ) უნდა ვიბრძოლოთ კონტინენტის ჩემპიონატის ფინალში გამარჯვებისთვის, მერე კი, ივლისში თბილისში ვიასპარეზებთ სპორტის ტექნიკურ სახეობებში საკავშირო სპარტაკიადის ნასეკარფინალში. ჯერჯერობით ორივეში კარგ სპორტულ ფორმაში ვართ. ვფიქრობთ შარშანდელივით მარტო ევროპის ჩემპიონობას არ დავჯერდეთ (კლიმენტიევი მოზრდილთა შორისაა კონტინენტის ჩემპიონი, გორდეევი — იუნიორთა შორის), — გვიპასუხა კლიმენტიევმა.

23 წლის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს კლიმენტიევს პირველსავე სერიაში საერთაშორისო შეხვედრების პრიზიორთან, სპორტის ოსტატ ვ. სემიონოვთან უწევდა ბრძოლა. კარგ სტარტზე კი ბევრი რამაა დამოკიდებული.

რბოლა დაიწყო. თავიდანვე სემიონოვი და კლიმენტიევი დაწინაურდნენ. ტ. ხუჯაძე პირველივე წუთზე დაეცა და, ვიდრე წამოდგებოდა, მეტოქეებმა თითქმის წრით გაასწრეს. III ადგილი მაინც ხუჯაძეს დარჩა და მან გუნდს 1 ქულა შესძინა. გაიმარჯვა კლიმენტიევმა. ამრიგად, სტარტზევე ანგარიში გახდა 4:2 მასპინძლების სასარგებლოდ.

მეორე და მეექვსე სერიებში ჯერ ე. ნონიკაშვილი დაეცა პირველივე ვირაჟზე, შემდეგ კი მას ვ. პოკროვსკი (სარატოვი) მიჰყვა. დაზარალებულებმა სასწრაფოდ დატოვეს ბილიკი. გორდეევმა დაამარცხა ვ. გაისინი (სარატოვი). მეექვსე სერიაში 18 წლის პირველთანრიგოსანმა გაისინმა კლიმენტიევის ჩამოტოვება მოინდომა. მან ერთბაშად მოუმატა სისწრაფეს, მოტოციკლი ყალყზე დააყენა, წონასწორობა დაკარგა და ცუდად დაეცა. კიდევ კარგი, ხუჯაძემ გაისინისა და მის მანქანებს შორის გაძრომა მოახერხა. სერია შეწყდა. მსაჯთა კოლეგიამ იგი შეხვედრის ბოლოსთვის გადაიტანა.

პირველთანრიგოსანმა ო. გინტერმა სტუმრებს მესამე და მეოთხე სერიებში გამარჯვებით 6 ქულა მოუპოვა. ნუ დაგავიწყდებათ, რომ მესამე სერიაში მან აჯობა ისეთ ცნობილ სპორტსმენებს, როგორიც თბილისელები ს. ლიომინიდი და პ. ზელენსკი არიან.

13 სერიიდან სარატოველებმა მხოლოდ ორში იმარჯვეს, ერთი კი ფრედ დაამთავრეს. სხვა სერიები მასპინძელთა აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი გახლდათ მე-11 სერია. სემიონოვი გორდეევს სტარტიდანვე გაექცა. თბილისელის ცდა, რომ სემიონოვისთვის გაესწრო, უშედეგო გამოდგა. და მაშინ, როცა ყველას ეგონა სერიის ბედი სემიონოვის სასარგებლოდ გადაწყდაო, გორდეევმა მესამე წრის ერთ-ერთ ვირაჟზე მარცხნიდან გვერდის ავლა და დაწინაურება შეძლო. ეს მან ისე სწრაფად, მოხდენილად გააკეთა, რომ მაყურებელთა ტაში დაიმსახურა.

საბოლოოდ „თბილისმა“ დაამარცხა მეტოქე — 49:27 და ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

* * *

გუშინ „თბილისისა“ და ელისტის გუნდების მატჩი არ შედგა. ელისტელები საასპარეზოდ არ ჩამოვიდნენ. „თბილისს“ მოგება ჩაეთვალა.

ო. გელაშვილი.

* * *

ს ურ ა თ ზ ე: შეჯიბრების მომენტი.

ავტორის ფოტო.

სომბათხეის ფიცარნაგზე

რვა თვეზე ცოტა მეტი გავიდა მსოფლიოსა და ევროპის ძალოსანთა ბოლო ჩემპიონატის შემდეგ, რომლის მასპინძელიც პოლონეთის დედაქალაქი ვარშავა გახლდათ. და აი, კონტინენტის უძლიერესმა ათლეტებმა თავი მოიყარეს უნგრეთის ქალაქ სომბათხეიში, სადაც დღეს ევროპის ჩემპიონატი იწყება. მასში 21 ქვეყნის 147 სპორტსმენი იასპარეზებს. ეს შეჯიბრება ბევრ რეკორდს გვპირდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ წლეულს ძალოსნებმა დიდი წარმატებით შეუტიეს უმაღლეს მიღწევებს. მართლაც, 1970 წელი რეკორდებზე არნახული იერიშების წელი გახდა ყველა წონით კატეგორიაში და მსოფლიოს ბევრ მოწინავე სპორტულ ქვეყანაში.

დავიწყოთ თუნდაც იმით, რომ ორმა ათლეტმა, ამასთან, ორივემ ევროპული ქვეყნიდან, მსოფლიოს ძალოსნობის ისტორიაში 600-კილოგრამიან ზღვარს გადააბიჯა. ესენი არიან საბჭოთა გოლიათი ალექსეევი და ბელგიელი რედინგი. საბჭოთა ათლეტმა მსოფლიო რეკორდის ჭვრი სამჭიდში 607,5 კილოგრამამდე ასწია. მძიმე წონის ათლეტთა შორის ესტონელმა ტალტსმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა და კიდევ ერთი ზღვარი — 550 კილოგრამი დაძლია. ევროპის ხუთი ქვეყნის წარმომადგენლებმა 500-კილოგრამიან ზღვარს გადააბიჯეს ქვემძიმე წონაში, ხოლო საბჭოთა ათლეტმა ივანჩენკომ საშუალო წონის ათლეტთა შორის პირველმა დააგროვა 500 კილოგრამი.

50-ზე მეტი შესანიშნავი შედეგი იქნა ნაჩვენები სწორედ ევროპის ჩემპიონატის წინ, რაც სრულ საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ გამონაკლისი არც კონტინენტის პირველობა იქნება.

სომბათხეის ფიცარნაგზე საბჭოთა სპორტის ღირსებას დაიცავენ: კრიშჩიშინი, სმეტანინი, ბელენკოვი, შანიძე, კურენცოვი, სმირნოვი, ივანჩენკო, კოლოტოვი, ტალტსი, ბატიშჩევი და ალექსეევი. ძლიერი ათლეტებით იქნებიან წარმოდგენილი ჩვენი ძირითადი მეტოქეები ევროპის ფიცარნაგზე — პოლონელი ძალოსნები. მათ შორის პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი მსუბუქ წონაში ბაშანოვსკი.

პირველობისთვის ბრძოლაში გამარჯვების თვალსაჩინო შანსები აქვთ უნგრელებს ფიოლდის, ბაკოშსა და ვერეშს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებს ბეკერს, დიტრიხს, არნოლდსა და რიგერს, ბულგარელებს კიროვსა და კუჩევს, ფინელებს — ძმებს კანგასნიემებსა და ლაპდენრანტას, შვედებს ბეტენბორგსა და ბ. იუჰანსონს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპორტსმენებს ვუსა და მანგს, ფრანგებს ტერმსა და ფულეტიეს, ბელგიელ რედინგს და სხვ.

ქართული სპორტის გულშემატკივრები განსაკუთრებული ინტერესით მოელიან მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორის, მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ვიცე-ჩემპიონის, საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონის დიტო შანიძის გამოსვლას. დიტოს მრავალჯერ წარმატებით დაუცავს ქართული და საბჭოთა სპორტის ღირსება საერთაშორისო შეჯიბრებებში. მაგრამ ასეთი მასშტაბის ასპარეზობაში საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე არასდროს მდგარა.

ა. მხეიძე.

გთავაზობთ ევროპის რეკორდების ცხრილს:

აჭიმვა

52 კგ.	კრიშჩიშინი (სსრ კავშირი)	113,5
56 კგ.	ფიოლდი (უნგრეთი)	125
60 კგ.	ფიოლდი (უნგრეთი)	131,5
67,5 კგ.	კაცურა (სსრ კავშირი)	145,5
75 კგ.	კურენცოვი (სსრ კავშირი)	161,5
82,5 კგ.	ბეტენბორგი (შვეცია)	175,5
90 კგ.	პოლტორაცკი (სსრ კავშირი)	182
110 კგ.	ტალტსი (სსრ კავშირი)	196
110 კგ-ს ზევით	რედინგი (ბელგია)	218,5

ატაცი

52 კგ.	სმეტანინი (სსრ კავშირი)	100
56 კგ.	ვახონინი (სსრ კავშირი)	111
60 კგ.	ვოინოვსკი (პოლონეთი)	117,5
67,5 კგ.	ბაშანოვსკი (პოლონეთი)	136
75 კგ.	ტერმი (საფრანგეთი)	143
82,5 კგ.	ბელიაევი (სსრ კავშირი)	150,5
90 კგ.	კანგასნიემი (ფინეთი)	161
110 კგ.	უტიარი (სსრ კავშირი)	165
110 კგ-ს ზევით	ეაბოტინსკი (სსრ კავშირი)	176

აკვრა

52 კგ.	შოლტიხეკი (პოლონეთი)	130
56 კგ.	ვახონინი (სსრ კავშირი)	144
60 კგ.	შანიძე (სსრ კავშირი)	151
67,5 კგ.	ბაშანოვსკი (პოლონეთი)	170,5
75 კგ.	კურენცოვი (სსრ კავშირი)	187,5
82,5 კგ.	ივანჩენკო (სსრ კავშირი)	191,5
90 კგ.	კოლოტოვი (სსრ კავშირი)	200,5
110 კგ.	ტალტსი (სსრ კავშირი)	212,5
110 კგ-ს ზევით	ალექსეევი (სსრ კავშირი)	223

სამჭიდი

52 კგ.	კრიშჩიშინი (სსრ კავშირი)	337,5
56 კგ.	ფიოლდი (უნგრეთი)	370
60 კგ.	შანიძე (სსრ კავშირი)	392,5
67,5 კგ.	ბაშანოვსკი (პოლონეთი)	445
75 კგ.	კურენცოვი (სსრ კავშირი)	482,5
82,5 კგ.	ივანჩენკო (სსრ კავშირი)	500
90 კგ.	კოლოტოვი (სსრ კავშირი)	532,5
110 კგ.	ტალტსი (სსრ კავშირი)	550
110 კგ-ს ზევით	ალექსეევი (სსრ კავშირი)	607,5

რეკორდები

პოდოლსკი, 18 ივნისი. მძიმე წონის მოსკოველმა ძალოსანმა ვ. იაკუბოვსკიმ გუშინ აქ სამი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მან აჭიმა 190 კგ, აიტაცა 157,5 კგ, ხოლო პირველ ცდაზე აკვრაში 205 კგ აჩვენა. სამჭიდში იაკუბოვსკიმ 552,5 კგ დააგროვა, რითაც 2,5 კილოგრამით გაუმჯობესა ესტონელი ძალოსნის ი. ტალტსის მსოფლიო რეკორდი. ნიჭიერი ათლეტი ამას როდი დასჯერდა. მან 212,5 კგ აჭრა და სამჭიდში 560 კგ დააგროვა. აწონისას გამოირკვა, რომ იაკუბოვსკის 214 კგ აუკრავს, რაც 1,5 კილოგრამით მეტია ტალტსის მსოფლიო რეკორდზე.

განსწავლული ვეშაპი

სან-დიეგოს საზღვაო აკვარიუმის ბინადარი, ვეშაპი „შამუ“ 7 წლისაა და 15 ცენტნერს იწონის. იგი დღეში ოთხჯერ მიცურავს ნაპირისაკენ, რათა მომთვინიერებელს შეხვდეს. „შამუ“ დელფინების მსგავსად მონაწილეობს ატრაქციონებში, რომელთა სანახავადაც ცნობისმოყვარე მაყურებლები იყრიან თავს.

მეცნიერულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ზღვის მტაცებლების მოთვინიერება ადვილია. ზოგიერთი სწავლული იმასაც ამტკიცებს, რომ ვეშაპისნაირები ძაღლებზე უკეთ ეგუებიან გაწვრთნას. გონებრივი განვითარებით ისინი ოდნავაც არ ჩამოუვარდებიან შიმპანზეს. უფრო მეტიც, სან-დიეგოში იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ წყალქვეშ ვეშაპებს გარკვეული ურთიერთობა აქვთ დამყარებული ერთმანეთთან და თავისებურ ბგერებს გამოსცემენ. იმასაც ამბობენ, რომ „შამუს“ მწვრთნელმა უკვე ისწავლა ვეშაპების ენაო.

* * *

ს ურ ა თ ზ ე: „შამუ“ წყლიდან ხტება, რათა პირი ჩაიტკბარუნოს.

ფოტო ჩეხოსლოვაკიის ყოველკვირეულ „გალო—სობოტადან“.



„ყველაზე გიჟური რგოლა“

ამას წინათ ამერიკის ქალაქ ლას-ვეგასის მახლობლად ჩატარდა „ყველაზე გიჟური, რბოლა მსოფლიოში“ (როგორც დასავლეთგერმანული ჟურნალი „კვიკი“ წერს). შეჯიბრებაში მონაწილეობდა 200 მანქანა. თითოეულში ორი მრბოლელი იჯდა — კაცი და ქალი. ორასი წყვილიდან მიზანს მხოლოდ ოცდაერთმა მიაღწია.

— ეს იყო ყველაზე „ჭუჭყიანი“ რბოლა მსოფლიოში, წერს იგივე „კვიკი“, რადგან ტრასა მთლიანად სილით იყო დაფარული. აქ რბოლა უნდა ჩატარებულიყო არა სერიული, არამედ სპეციალური კონსტრუქციის მანქანებით, რომლებიც გაუძლებდნენ სილასა და მტვერს.

რბოლა მოიგო ჯონსონების ახალგაზრდა წყვილმა, რომელმაც 320-კილომეტრიანი ტრასა 12 საათსა და 19 წუთში გადალახა. აღსანიშნავენ, რომ ჯონსონების გამარჯვებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ჩვეულებრივმა ნიჩბებმა, რომლებიც ახალგაზრდებმა თან წაიღეს, რათა დროდადრო სილაში ჩაფლული მანქანისთვის ეშველათ.

ფოტო „კვიკ“—აას-ისა.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 04312

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.